საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ოთარ კაჭკაჭაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ინგა ბერიძე - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ჩ. ქ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.11.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 084/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. ა.-ის მიმართ /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. ა.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 29 ნოემბერს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ჩ. ქ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ა. ა.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2022 წლის 10 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დისტანციურ რეჟიმში წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. საჩივრის ავტორის განცხადებით, მას სამართლებრივი დავა ჰქონდა მის ძმიშვილთან - ს. ქ.-თან და აღნიშნულ საქმეზე საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით მიმართა ადვოკატ ა. ა.-ს. მომჩივანმა ადვოკატის სახელზე გასცა მინდობილობა საქმის წარმოების მიზნით. ადვოკატმა ჩ. ქ.-ს საქმეზე მიმართა ---ის რაიონულ სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეზე, რაც ეხებოდა მოპასუხე მხარის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნას, მესამე პირად აღნიშნულ საქმეში ჩართული იყო ს. ქ.. აღნიშნული საქმის მიმდინარეობის შესახებ მომჩივანს ადვოკატი არ აწვდიდა ინფორმაციას.

1.2 მომჩივანის განცხადებით, ადვოკატმა ა. ა.-მა მასთან შეუთანხმებლად და მისი სახელით ---ის რაიონულ სასამართლოში დაიწყო სამოქალაქო დავის წარმოება ს. ქ.-ის მიმართ ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით და უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობის თაობაზე. მომჩივანის განმარტებით, აღნიშნულ საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილებით, ქონების ნახევარი მიეკუთვნა მას, ხოლო მეორე ნაწილი მის მოდავე მხარეს - ძმიშვილს და დებს. მომჩივანის განმარტებით, ის თვლის, რომ სადავო ქონება მთლიანად მის სახელზე უნდა დარეგისტრირებულიყო.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ვინაიდან მან ქართული ენა არ იცის, საქმესთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი მან მიანდო ადვოკატს და დღემდე არ დაუბრუნებია. ადვოკატსა და ჩ. ქ.-ს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება არ გაფორმებულა. მომჩივანის განმარტებით, ზემოაღნიშნული თანხის 600 ლარის გარდა, ადვოკატს სხვადასხვა საჩუქრები გადასცა, ჰონორარის სახით თანხის ანაზღაურებას კი სამომავლოდ დაპირდა.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მას არასწორი ინფორმაცია მიაწოდა იმის თაობაზე, რომ თითქოს „მისი სახლი ბანკის მიერ იყო დაყადაღებული“ და „პროცენტის სახით უნდა გადაეხადა 20 000 ლარის 3 %- 600“ ლარი. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატს არ უთქვამს რომ აღნიშნული თანხა სახელმწიფო ბაჟთან იყო დაკავშირებული. ჩ. ქ.-ს ადვოკატმა გადასცა საბანკო ანგარიშის მონაცემები და მასზე გადარიცხა ზემოაღნიშნული 600 ლარი ადვოკატის მითითებით.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, მიღებული თანხა - 600 ლარი ადვოკატმა მასთან შეუთანხმებელ სარჩელზე გადაიხადა სახელმწიფო ბაჟის სახით. ამასთან, მომჩივანის განცხადებით, აღნიშნულ საქმეზე, მასთან შეუთანხმებლად ადვოკატმა ა. ა.-მა მოპასუხე მხარესთან გააფორმა მორიგების აქტი.

2. ადვოკატ ა. ა.-ის პოზიცია:

2.1 2021 წლის 22 დეკემბერს ადვოკატმა ა. ა.-მა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება. ამავე წლის 10 თებერვლის და 03 მარტის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დისტანციურ რეჟიმში ადვოკატმა წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. ადვოკატი საადვოკატო მომსახურებას უწევდა ჩ. ქ.-ს, ა. დ.-სა და თ. დ.-ს ადმინისტრაციულ ორგანოში და სასამართლოში მათ მიერ ადვოკატის სახელზე გაცემული მინდობილობების საფუძველზე.

2.2 ადვოკატის განცხადებით, ჩ. ქ. ცხოვრობს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ---ში, სადაც მომჩივანის მამას - თ. ქ.-ს საკუთრებაში ჰქონდა საცხოვრებელი სახლი. ადვოკატის განმარტებით, თ. ქ.-მა ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე უძრავი ქონება გაუფორმა შვილიშვილს - ს. ქ.-ს. თ. ქ.-ის კომლის წევრებია: ჩ. ქ., ა. დ., თ. დ.. ადვოკატმა ა. ა.-მა, როგორც მისი კლიენტების ინტერესების წარმომადგენელმა გაასაჩივრა თ. ქ.-ის სახელზე ქონების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. ამავე სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ადვოკატმა გაასაჩივრა ---ის რაიონულ სასამართლოში, რომელმაც ნაწილობრივ დააკმაყოფილა ჩ. ქ.-ს ადმინისტრაციული სარჩელი.

2.3 ადვოკატმა ა. ა.-მა აპელაციის წესით გაასაჩივრა ---ის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი. ადვოკატის განმარტებით, სასამართლოს არ უმსჯელია ჩ. ქ.-ს მამის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე, შესაბამისად საჭირო გახდა აღნიშნული მოთხოვნის ფარგლებში სასამართლოსთვის მიმართვა.

2.4 ადვოკატმა ს. ქ.-ს და თ. ქ.-ს შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ მიმართა ---ის რაიონულ სასამართლოს. ჩ. ქ. ჩართული იყო საქმესთან დაკავშირებით მტკიცებულებათა მოპოვებაში, მათ შორის ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე დასკვნა ჩ. ქ.-ს მოთხოვნით მომზადდა და სახელმწიფო ბაჟის თანხას სარჩელზე მან გადაიხადა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მან სატელეფონო კომუნიკაციით შეატყობინა ჩ. ქ.-ს მოსამზადებელი სხდომის გამართვის თაობაზე. 2019 წლის 20 ივნისს სასამართლომ მხარეებს შესთავაზა დავის მორიგებით დასრულება, რის გამოც მოსამზადებელი სხდომა გადაიდო. ადვოკატი ა. ა. დაუკავშირდა ჩ. ქ.-ს და მისგან მიღებული თანხმობის საფუძველზე, 2019 წლის 11 ივლისს მხარეებს შორის გაფორმდა მორიგების აქტი.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობის შემოწმება:

3.1 ადვოკატი ა. ა. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი № / სპეციალიზაცია - საერთო;

3.2 ჩ. ქ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 11 ნოემბერს.

3.3 სადავო მოქმედება განხორციელდა 2019-20 წლებში. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ა. ა.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატი ა. ა. არ აწვდიდა მას ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის შესახებ, მათ შორის მასთან შეუთანხმებლად მოდავე მხარესთან გააფორმა მორიგების აქტი.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> დაკავშირებული ინფორმაცია და კავშირი ჰქონდეს მასთან საქმის წარმოების პროცესში, როდესაც ადვოკატმა ... კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5).
>
> ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია ... რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2).
>
> ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით...(ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.2)

5.3 ,,ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს საქმესთან ადვოკატის მიერ საქმესთან დაკავშირებით ხორციელდება საპროცესო მოქმედებები და საქმესთან დაკავშირებით არსებობს ახალი გარემოებები“. (სააეკგ N022/10 პარ.4.8 27.09.10)

5.4 ეთიკის კომისიამ კლიენტის დროული ინფორმირება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას დაუკავშირა ,,ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები.“ (სააეკგ N092/11 პარ.7. 22.03.12).

5.5 ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით განხორციელებული მოქმედებები მესამე პირების მიერ განიხილება, როგორც კლიენტის ნების გამოხატულება და როგორც წესი, ეჭვქვეშ არ დგება ადვოკატის საიმედოობა და კეთილსინდისიერება (შეად. სააეკგ საქმე N057/10, პარ.7.11 07.03.2011).

5.6 ადვოკატის/წარმომადგენლის მიერ კლიენტის სახელით განხორციელებული მოქმედებები სამართლებრივი ძალის მქონეა და ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერად, კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით (სააეკგ საქმე N022/11, 30.05 .2011 პარ.6.9).

5.7 განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადვოკატის მიერ კლიენტის თანხმობის გარეშე გაკეთებულ განცხადებებს, რომლებიც კლიენტს უზღუდავს სასამართლოს გზით ინტერესების დაცვის საშუალებას (მორიგების აქტის გაფორმება, სარჩელზე უარის თქმა, საქმის წარმოების შეწყვეტის მოთხოვნა, და ა.შ) და საფრთხის ქვეშ აყენებს კლიენტის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. „ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება შესაძლებელია შეფასდეს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებული მინდობილობის ბოროტად გამოყენებად და უარყოფითად აისახოს კლიენტსა და ადვოკატს შორის არსებულ ნდობაზე. (სააეკგ საქმე 022/11. 30.05.11 პარ.6.7).

5.8 ადვოკატი ა. ა. 2015 წლიდან საადვოკატო მომსახურებას უწევდა ჩ. ქ.-ს, ა. დ.-ს და თ. დ.-ს მარნეულში მდებარე საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებული საცხოვრებელი სახლზე საკუთრების უფლების მოპოვების თაობაზე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დავებში. მხარეთა პოზიციებით დგინდება, რომ შეთანხმების შესაბამისად, ადვოკატი ა. ა. ზემოაღნიშნული პირების, მათ შორის ჩ. ქ.-ს ინტერესებს წარმოადგენდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, პირველ და მეორე ინსტანციებში (იხ. პარ. 1.1. და 2.2 – 2.4, ---ის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება 24.08.2016, ---ის რაიონული სასამართლოს განჩინება 11.07.2019). მხარეთა შორის სადავოა ადვოკატი ჩ. ქ.-ს ინტერესების წარმოდგენისას მოქმედებდა თუ არა კლიენტის ინფორმირების ვალდებულების ფარგლებში. ერთის მხრივ, მომჩივანი განმარტავს, რომ ადვოკატი არ აწვდიდა მას საქმის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას, თუმცა კონკრეტულად არ უთითებს რის თაობაზე არ იყო ის ინფორმირებული ადვოკატის მიერ. ამასთან, ის განმარტავს, რომ მორიგების აქტის მოდავე მხარესთან - ს. ქ.-თან გაფორმების თაობაზე არ ჰქონდა ადვოკატს მასთან კომუნიკაცია, რასაც უარყოფს ა. ა.. ადვოკატი განმარტავს, რომ ჩ. ქ.-ს, როგორც მის კლიენტს აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის შესახებ, მათ შორის მორიგების აქტის გაფორმების პირობები წინასწარ იყო შეთანხმებული მასთან (იხ. პარ. 2.5).

5.9 მომჩივანი ამავე დროს, სადავოს ხდის ადვოკატისთვის გადაცემული 600 ლარის თაობაზე ინფორმაციის მიღებას. კერძოდ, ის ადვოკატს ედავება აღნიშნული თანხის მიზნობრიობის შესახებ არასწორი ინფორმაციის მიწოდებას და განმარტავს, რომ ადვოკატს მისთვის არ უთქვამს, რომ თანხა სასამართლოში

სახელმწიფო ბაჟის გადახდის მიზნით იყო საჭირო. მომჩივანი ადასტურებს, რომ ადვოკატმა გადასცა მიმღების ანგარიშის მონაცემი (სახაზინო კოდი), რაზეც მან ჩარიცხა თანხა 600 ლარი, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი ქვითრითაც (იხ. გადახდის საბანკო ოპერაცია 11.02.2019), რომელშიც მითითებულია, რომ თანხა უშუალოდ გადახდილია ჩ. ქ.-ს მიერ, რომლის დანიშნულებაა „სახელმწიფო ბაჟი სასამართლოში განსახილველ საკითხებზე", რაც სარწმუნოს ხდის იმ გარემოებას, რომ მომჩივანს ჰქონდა შესაძლებლობა ინფორმირებული ყოფილიყო სასამართლოში მიმდინარე დავის თაობაზე და თანხის გადახდის მიზნობრიობაზე.

5.10 კოლეგია განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა გაცემული რწმუნებულება მოიცავს თუ არა მარწმუნებლის სახელით არსებითი გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებას, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის არსი და მიზანია მან კლიენტთან შეთანხმებულად განახორციელოს წარმომადგენლობა, მათ შორის ინფორმირებული თანხმობის ფარგლებში იმოქმედოს ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა სასამართლოში საქმის მორიგებით დასრულება.

5.11 ზემოაღნიშნული პრეტენზიების შეფასების ფარგლებში მტკიცების ტვირთის განაწილებისას, კოლეგია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2b/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს."

5.12 მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არ არის წარმოდგენილი სარწმუნო მტკიცებულებები, რაც კოლეგიას მისცემდა შესაძლებლობას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ემსჯელა ადვოკატის მიერ ინფორმირების და მასთან შეუთანხმებლად მოქმედების ვალდებულებათა დარღვევის ფარგლებში.

5.13 შედეგად, არ დასტურდება ადვოკატის მიერ კლიენტის ინფორმირების და მასთან შეთანხმებულად მოქმედების ვალდებულებების სავარაუდო დარღვევა.

5.14 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე, 33-ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №084/21 ადვოკატ ა. ა.-ის /სიითი N/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ოთარ კაჭკაჭაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა ბერიძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/